№ 232. შაბათი, 21 ივნისი. 1896—1897 შაბათი, 21 ივნისი № 232.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ხელისმომწერთა საყურადღებოდ

პირველ ივნისიდგან გაზეთი

წლის დამლევამდე «საქართველოს კალენდრით»

ღირს ოთხი |4| მანათი.

უმაღლესად დამტკიცებული საზოგადოება

აზოვის ზღვაოსნობისა

ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამ წლის თებერვლიდან გაიმართა **დრო-გამოშვებითი მორიგი მიმოსვლა საბარგო და მგზავრთა გემებისა ოდესა-ბათომს შუა.**

ფასი შემცირებულია როგორც ბარგზე, აგრეთვე მგზავრთათვის.

ოდესიდან გამოდის—სამშაბათობით და პარასკეობით.
ფოთში მოდის—კვირაობით და ოთხშაბათობით.
ბათომში მოდის—ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ბათომიდან გადის—ორშაბათობით და ხუთშაბათობით.
ფოთიდან გადის—სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ოდესაში მოდის—კვირაობით და სამშაბათობით.

გემები გზა და გზა შეივლიან ოჩემჩირეში, სოხუმში, ახალ ათონში, გუდაუთში, სოჭში, თუაფსეში, ნოვოროსისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში, სევასტოპოლში და ევპატორიაში.

ცნობებისათვის მსურველნი მიჰმართავენ:

ტფილისს—საზოგადოების აგენტს ი. ბ. რივკინს, ველიამინ. ქ., 3.
ბათომს — — — ი. მ. ვარშავსკის.
ფოთს — — — ა. დ. გუგუშვილს.

ВЫСОЧ. УТВЕР. О-ово АЗОВСК. ПАРОХОДСТВА

Срочные товаро-пассажирскіе рейсы по удешевленному тарифу между Батумомъ и Одессой.

Справки у агентовъ О-ва: **Тифлисѣ**—I. Б. Рывкина, Велямин. 3. **Батумѣ**—Я. М. Варшавскаго и **Поти**—А. Д. Гугушвили.
(50—31)

ტელეფონი № 346



ტელეფონი № 346

სავაჭრო სახლი

ს. პ. პავლოვი და კ.

ტფილისი, დოროს-მელიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.
მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო

საკერავი მაშინები

ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანათამდე,
ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.
მაშინების სიკეთეს **სამის წლით** თავდებად ვუდგები.
ფასის შემოტანა შეიძლება **ნაწილ-ნაწილად.**
Торговый домъ С. П. Павлова и К°. (100—56 წ.)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

ხე-ტყის ქარხანა

კოდორი, სოხუმის ოლქში

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელ კავკასიაში, რომელიც ამზადებს

წაბლის ფიცრებს

ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული ^{12}-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.

◆ **ფასი მასალებისა მეტად იაფია** ◆

დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში. მსურველთ შეუძლიათ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, або Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—132)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ხ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^{1}/_{2}$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პრიტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარამელიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოობით:

ი. ფ. პრიტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ხ. ა. ნავასარდიანი. $6^{1}/_{2}$—$7^{1}/_{2}$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ზ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ზ. თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. კ. ზერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი ს. ზ. თოფურია. (წ.)

ხაშური.

კვირას, 22 ივნისს, (მიხეილის ბაღში) ქართული თეატრის აქტორებისაგან წარმოდგენილ იქნება პირველად ახალი პიესა

I

სურამის ციხე

ისტორიული დრამა 3 მოქ. და 4 სურათად, გადმ. დ. მესხის მიერ.

II

სცენები მიროვოი სუდიასთან

სურათი ერთ მოქმ.

დასასრულ ცეკვა (ტანცაობა).

ქართული საერო

ხორო

ალ. კავსაძის ლოტბარობით და ივ. მჭედლიშვილის გამგეობით ახლად შეკერილ ქართულ ქულაჯებით გამართავს

კონცერტებს

დ. ზესტაფონში შაბათს, 21 ივნისს.
ქ. ქუთაისში კვირას, 22 ივნისს.
დ. სამტრედიაში ორშაბათს, 23 ივნ.
დ. ახალ-სენაკში სამშაბათს, 24 ივნ.
ქ. ფოთში ოთხშაბათს, 25 ივნისს.
ქ. ბათომში პარასკევს, 27 ივნისს.
ქ. სოხუმში კვირას, 29 ივნისს.
ქობულეთში სამშაბათს, 1 მკათათვეს.
დ. ხაშურში ოთხშაბათს, 2 მკათათვეს.

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“

19 ივნისი.

პარიჟი. გავასის სააგენტო სწერს: მინისტრთა კრების დროს გუშინ პრეზიდენტმა ფორმა სთქვა, ეს არის ეხლა მივიღე წერილი რუსეთის იმპერატორისაგან, რომელიც მწერს, რომ მისს უდიდებულესობას ესიამოვნება, რომ წელს პეტერგოფში წავიდე: პრეზიდენტმა ფორმმა განაცხადა, განზრახვა მაქვს აგვისტოს მესამე ან მეოთხე კვირას წავიდეო. ამ მოკლე ხანში პარლამენტს წარედგინება მოხსენება შესახებ მოგზაურობისათვის საჭირო ფულისა.

ლონდონი. გაზეთ „Standard“-ის სიტყვით, თევთიქ-ფაშას მიუღია მოწერილობა—დასთანხმდეს დიდ სახელმწიფოთა გარდაწყვეტილებას შესახებ თესალიის საზღვრისა და სამხედრო ჯარებისა, რომელიც 4 მილიონს არ აღემატება. რაც შეეხება კაპიტულიაციას, თევთიქ-ფაშას ებრძანა უწინდებურად წინაამდეგობა გაუწიოს.

კონსტანტინეპოლი. რადგანაც ჯედდიდგან მოსულ მგზავრთა შორის ორი ავადმყოფი აღმოაჩნდა შავის ჭირით შეპყრობილი, სანიტართა საბჭომ დაადგინა გადაიყვანოს მეწამურ ზღვის კუნძულზედ გაგზავნილნი მგზავრნი კამარონის ლაზარეთში და ჯედდიდგან მოსვლა აუკრძალოს მგზავრებს.

ახალი ამბავი

⁂ **თავ. ივანე მაჩაბლის ავადმყოფობა.** ოპერაციის შემდეგ პატივცემულ თ. ივანე მაჩაბელი კარგადა ბრძანდება. ტემპერატურა ნორმალური აქვს. მთელი ღამე ტკბილად ეძინა. ღონესთან ერთად ჭამის მადაც მოუვიდა.

„ცნობის ფურცლის“ გუშინდელს ნომერში შეცდომით მოხსენებული გვქონდა, ოპერაციას ექიმი ნავარსადიანი დაესწროვო. უნდა გვეთქვა: ექიმი მაისურიანცი და არა ნავარდიანი.

⁂ **„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობის მოქმედება 1896 წ.** წინა წერილში ჩვენ შევჩერდით „ანგარიში“ მე4-ე გვერდზედ, სადაც არის აღნუსხული, თუ ვითარის ერთგულობით და ბეჯითობით ეკიდებოდნენ გამგეობის წევრნი მათდამი მინდობილს დიდს საქმეს. ჩავყვეთ ქვევით და ვილაპარაკოთ იგივე „ანგარიში“.

მე 5-ე გვერდზედ ვკითხულობთ „დამხმარებელ წევრთა“ სიას. ეს დამხმარებელნი წევრნი, რიცხვით 19-ნი, სცხოვრებენ სხვა-და სხვა დაბა-ქალაქებში, და მოვალეობაა მათი, იზრუნონ რამენაირად „საზოგადოების“ დახმარება ნივთიერად. გამართონ წარმოდგენები, საღამოები, კონცერტები „საზოგადოების“ სასარგებლოდ, გაამრავლონ წევრთა რიცხვი „საზოგადოებისა“ და სხვ.

1895 წლის ანგარიში „დამხმარებელ წევრთა“ შესახებ მოგვითხრობს შემდეგს: „საანგარიშო ხანში საზოგადოებას დახმარება ამოუჩინეს: 1) ქეთევან ნიკოლოზის ასულმა მერკულოვისამ, რომელმაც ზაქათალაში გამართა სამუსიკო და სალიტერატურო საღამო და მის შემოსავალი 75 მანათი გამგეობას გამოუგზავნა და 2) ს. თ. ხუნდაძემ, რომელმაც შეკრიბა საწევრო ფული 46 მანათი და გამოგზავნა“.

1896 წლის „ანგარიში“ ამავე საგანზედ არაფერს ამბობს. მაშასადამე ცხადია, რომ წარსულს წელში „დამხმარებელ წევრთ“ არავითარი დახმარება არ აღმოუჩენიათ.

19-ს „დამხმარებელს წევრში“ შარშან-წინ მხოლოდ ორს გაახსენდა საზოგადოება და თავიანთი წვლილი მოაშველა. წელს არც-ერთმა. ეს რად გინდათ, უმრავლესობას ამ 19 „დამხმარებელ წევრთაგანს“ არასოდეს არავითარი დახმარება არ აღმოუჩენიათ „საზოგადოებისათვის“, და გამგეობას-კი წმინდა მოვალეობათ მიაჩნია ყოველს წელიწადს „ანგარიში“ მოიხსენოს ხოლმე მათი სახელი და გვარი და ისიც, თუ რომელს დაბა-ქალაქში სცხოვრებენ.

ხომ მოგეხსენებათ: „ჩემი ურგები ქოთანი ქვასა და მაწონი... რაო“, რა საჭიროა წლითი-წლობით სტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეოტიპულად მათი ჩამოსვლა და გახსენება, ვინც არავითარ „დახმარებას" არ უწევს გამგეობას.

ეს რა არის: ადრესების კალენდარია, თუ „ანგარიში" საზოგადოებისა? ეს რად გნებავთ, სიღნაღში ისეთი პირია დასახელებული „დამხმარებელ წევრად",—ზაქარია იოელის-ძე ნაცვლიშვილი,—რომელიც ამ ქალაქში არა სცხოვრებს და არცა სცხოვრებდა ოდესმე. მაშინ, როდესაც ამ ქალაქში სცხოვრებენ ფრიად დარბაისელნი და ქართულ საქმისადმი გულშემატკივარნი ქართველნი, რომელნიც, უკეთუ იკისრებდნენ „დამხმარებელ წევრობას", საქმითაც დაეხმარებოდნენ. ასევეა საქმე სხვა დაბასოფლებში.

უკეთუ „საზოგადოების" გამგეობა ღირსეულს სიმაღლეზედ იდგებოდა, უნდა ცდილიყო, რომ არავის სახელი, არავის გვარი დაუმსახურებლად უღირსოდ არ შესულიყო „ჩვენის აკადემიის" „ანგარიშში". რად დაამცირა «გამგეობამ» საზოგადოება ისე, რომ მისს ანგარიშში შეიძლება ჩაიწეროს სახელი და გვარი ისეთის პირებისა, რომელნიც არას არგებენ საზოგადოებას. რად ემოსებათ შარავანდედით სახელი, რად ეძლევიან ქართველთა ისტორიის ხსოვნას ის პირნი, რომელნიც ამის ღირსნი არ არიან?.

ამასთან „საზოგადოების" გამგეობას, ეტყობა, საქმე არა აქვს. ის კმაყოფილია იმითიც, რომ „ანგარიშში„ ყველა რუბრიკები არის და ყოველ საგანზედ რამე უთქვამს ბ. მდივანს. ანკი როგორ დაემდურნენ გამგეობის წევრნი „დამხმარებელთ" ერთიც ვნახოთ მათ უპასუხეს: ჩვენს თვალში ბეწვს ხედავთ და თქვენსაში-კი ბოძსაც ვერაო!.

⁂ **ბ. კავკასიის მთავარ-მართებლის მოგზაურობა.** ბ. კავკასიის მთავარ-მართებელი, როგორც ჩვენ მკითხველთა უწყიან, დაბრუნდება ჩრდილოეთ კავკასიიდამ 15 აგვისტოს და იმავე დღეს კოჯორს წაბრძანდება. კოჯორში მისი ბრწყინვალება 15 აგვისტომდე დარჩება და შემდეგ გაემგზავრება ყარსის ოლქისა და ერევნის გუბერნიის დასათვალიერებლად.

⁂ **მევენახეთა საყურადღებოდ.** სამეურნეო იარაღების პატრონს ბ. კრაუზეს (ტფილისი) განცხადება შეუტანია „კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში", რომ იგი მომავალის წლისათვის გამოიწერს საზღვარ-გარეთიდამ ყოველ-გვარს ვაზის საექიმოდ მანქანებსა და იარაღებს, იმოდენს, რაც საკმარისი იქმნება ამიერ-კავკასიისათვის, თუ „სამეურნეო საზოგადოება" თავის მხრივ დაეხმარება მას და გაავრცელებს მევენახებში ამ იარაღებსა და მანქანებს.

⁂ **ახალი სახალხო სამკითხველო და წიგნთ-საცავი.** შუამდგომლობენ მთავრობის წინაშე, რომ სოფ. კარდანახში (სიღნაღის მაზრა) დაარსებულ იქმნას სახალხო სამკითხველო და წიგნთ-საცავი.

⁂ **ავსტრიის კონსულის მოგზაურობა თიანეთის მაზრაში.** თიანეთის მაზრის უფროსს წინადადება მიეცა—შეეწეობა აღმოუჩინონ ავსტრიის კონსულს, კამერგერს უგრონს, რომელიც აპირებს ამ მაზრის დავლა-დათვალიერებას.

⁂ **ახირებული არჩევანი.** ქალაქის საბჭომ ამას წინად „საბეგრო საკრებულოს» (податное присутствіе) წევრად აირჩია ო. მ. ასიტოვი; არჩევნის ფურცელზე მისი სახელი და გვარის პირველ ასოებად აღნიშნულია: „ფ. მ." გამგეობამ სთხოვა ქალაქის პოლიციას აცნობეთ ასიტოვს, რომ ის არჩეული არის საბეგრო საკრებულოს წევრის კანდიდატადაო. პოლიციამ მთელი ქალაქი დასტყაპა-დაიარა და ვერ გამოძებნა ვერც „ო. მ." ვერც „ფ. მ." ასიტოვი. ეგ გარემოება შეატყობინეს გამგეობას და ამ ჟამად ახირებულს მდგომარეობაშია გამგეობა და მთელი საბჭო: არ იციან—რომელი ასიტოვია არჩეული და ან სად სცხოვრობს ეს უჩინ-მაჩინის ქუდით აღჭურვილი წევრი ქალაქის საბეგრო საკრებულოსი.

⁂ **მევახშეობა.** ტფილისის ოლქის სასამართლოს უკვე წარუდგინეს საბრალდებულო ოქმი ვასილ მამიკონოვის საქმისა გამო, რომელსაც მევახშეობა ჰბრალდება.

⁂ **პოლიციისა და ქალაქის გამგეობის განკარგულება.** პოლიციამ აღკრძალა ალექსანდრეს ბაღში მინერალურის წყლებისა და კვასის გასყიდვა; ამის გამო გამგეობამ მიანდო ტეხნიკოსს ლისიცევს, რომ ამ ბაღში დადგას წყლის მილის სვეტი და ისე მორთოს, რომ ყველას შეეძლოს უსასყიდლოდ ისარგებლოს სასმელის წყლით.

⁂ **ქალაქთა დაგირავება რუსეთის იმპერიაში.** სასტატისტიკო ცნობებიდამ სჩანს, რომ მთელს რუსეთის იმპერიაში 300 ქალაქს აქვს დაგირავებული 52,067 უძრავი ქონება და ამ გირაოებზე 1896 წელს ირიცხებოდა სულ 631,822,179 მანათი ვალი; ამ რიცხვიდამ მხოლოდ ტფილისის წილად მოდის 18 მილიონი მანათი ვალი.

⁂ **კბილის ექიმები სასწავლებლებში.** ზოგიერთა სამოსწავლო ოლქის მზრუნველნი იმ აზრისანი არიან, რომ სასურველია სასწავლებლებში იყოლიონ ხოლმე მუდამ კბილის ექიმნი.

⁂ **თავად-აზნაურთა უკანასკნელის კრების გამო აღძრული საჩივრები** ამას წინად ბ. ტფილისის გუბერნატორმა გარდასცა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, რომელმაც თავისი მოხსენება ამ საჩივრების გამო უკვე წარუდგინა ბ. გუბერნატორს და დაუბრუნდა მასვე თვით საჩივრებიც.

⁂ **ბ. ტფილისის პოლიცმეისტრის თანაშემწე** სოკოლოვსკი, როგორც შევიტყეთ, თავს ანებებს სამსახურს.

⁂ **ტფილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა რჩევა** დაიხურა 19 ივნისიდამ შემოდგომამდე.

⁂ **ქუთაისი. არჩილის გორა.** ქვეყანა იძახის, განათლება მოდის, დროა თვალები გავახილოთ, ავ-კარგიანობა გავიგოთო. ჩვენ, „გორელებს"-კი არაფერი გვეტყობა: ჩვენ ისევ ისე შეუგნებელნი და უვიცები ვართ.

სასარგებლო და საქველ-მოქმედო საქმეზე ხომ შიშით ვერ ამოიღებს ხმას კაცი აქ. მაშინვე ასე მოგახსენებენ „გიჟი ხომ არა ხარ, ხომ ხედავ, გაჭირვებაშივართ ჩავარდნილი, სიღარიბე კარზე მოგვდგომია, სადაგვაქვს წყალში გადასაყრელი თითო-ორ-ორი აბაზიო". აბა სინჯეთ და უთხარით ამ ვაჟბატონებს, ამა და ამ ადგილზე „ვეჩერი" არის გამართული და გთხოვთ მობრძანდეთ თქო, თუ მაშინვე არ დაფაცურდენ და სიხარულით არ გაიკრან ხელი ჯიბეს. მართალაც, ქუთაისის არც ერთს ნაწილში არ იმართება ასე ხშირად „ბალ-ვეჩერები", როგორც ამ ჩვენს უბანში. კვირა არ გავა ისე, რომ სამჯერ მაინც არ გაიმართოს აქ ამგვარი დროების გასატარებელი საღამოები. საღამოებზე მეტი ნაწილი ნაყარ-ნუყარი ხალხი ესწრობა, და ვაი მისი ბრალი, თუ ვინმე პატიოსანთაგანი მოჰყვა შიგ: ის უსათუოდ გალანძღული უნდა წამოვიდეს იქიდგან. ამ ექვსის დღის წინად ერთს კეთილშობილ ოჯახში იყო გამართული საღამო; ყველას ეგონა, იქ მაინც იქმნებოდა დაცული წესიერება და ზრდილობიანობა და ამიტომ ბევრი ხალხიც დაესწრო; მაგრამ, ასე გასინჯეთ, ვერც აქ იპატივეს თავი მანდილოსნებმა ერთ ვიღაც „მეკრამიტე-კავალრისაგან", რომელმაც, უწესოებით და დუქნურის ქცევით სწორეთ მოთმინებიდან გამოიყვანა იქ დამსწრე საზოგადოება. ნუ თუ დღე მუდამ წეს-რიგის დამცველნი უნდა გვედგას თავზე, რომ ოდნავ მაინც ზრდილობიანობა გამოგვაჩნდეს!.

ალ. მ—ძე.

⁂ **კავკავი. ქართველთათვის საკუთარის მღვდლის დანიშვნისა და სამკითხველოს გახსნის გამო.** დღეს დღიურს საკითხს და სალაპარაკო საგანს მთელის კავკავის ქართველობისას და არსებითს საჭიროებას მათთვის შეადგენს, როგორც ამას წინადაც ვსწერდით, საკუთარი მღვდლის ყოლა და დედა-ენაზე ღვთის მსახურების მოსმენა. ამ საგნის შესახებ კავკავის ქართველობის მინდობილობით კავკავში მცხოვრებლებმა: ი. ვ. მოზდოკელიშვილმა, ი. გ. შვილევმა, ი. თ. გუბნელოვმა, ი. მ. უშვერიძემ და ი. ს. მოსულიშვილმა ამ ცოტა ხნის განმავლობაში ორჯელ მიართვეს თხოვნა მისს ყოვლად უსამღვდელოესობას კავკავისა და მოზდოკის ეპისკოპოსს ვლადიმერს, რომელსაც სთხოვდენ შემოეღოთ ქართველთათვის კავკავის რომელსამე ეკლესიაში წირვა-ლოცვა სამშობლო ენაზე და დაენიშნა

ულმობელი კრიტიკა.

„კვალის" მე 25 №-ში, დასტამბულია „ბიბლიოგრაფიული" შენიშვნა (?) ჩემის რუსულ-ქართულის ლექსიკონის შესახებ ბ-ნის მიტროფანე ლაღიძისა. ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მოვახსენო ჩემს ულმობელს კრიტიკოსს, რომ არიან ისეთნი მწერალნიც, რომელნიც „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებს" ცოტა სხვა ნაირადაცა სწერენ; მე მინდა დავუმტკიცო ჩემს კრიტიკოსს ისიც, რომ, როცა ვინმე რომელსამე წიგნს იწუნებს ან აქებს, უეჭველად მოეთხოვება, იცოდეს, თუ რასა ან რაზედა სწერს. ეს ელემენტარული კანონია წერისა. თუ ეგ კანონი დარღვეულ იქმნა, შრომა სასაცილო და, თუ გნებავსთ, სამწუხაროც გამოვა.

ბ-ნო კრიტიკოსო, განა ის არის საკმარისი, რომ, რა-კი მე არ მოგწონვართ, აიღოთ და ჩემი ნაშრომიც დაიწუნოთ უსაფუძვლოდ? თქვენ ჯვარი გწერიათ, მე „კვალზე" მოგახსენებთ. აქაო და „კვალი" ყველაფერს დამიბეჭდავსო, განა ამ საბუთით ცოტა სიფრთხილე არა გმართებდათ, როცა ხელი მოჰკიდეთ თქვენთვის თითქმის უცნობ საქმესა?

მაგრამ მოდით, საქმეზე გადავიდეთ.

ბ-ნს ლაღიძეს რამდენიმე სიტყვა ამოუკრეფია სანიმუშოდ ჩემის ლექსიკონიდგან და ბრძანებს, ამ სიტყვებისა ჩვენ ვერა გაგვიგია-რაო, ქართული სიტყვები არ არისო. იმის სურვილსაც კი აცხადებს, რომ მე ჩემის ლექსიკონის ლექსიკონიც ვუწყალობო. ბაშ უსტა! სიამოვნებით ვუსრულებთ თხოვნას, იმ პირობითკი, რომ მეორეჯერ არავინ შეაწუხოს თავისის უადგილო თხოვნითა.

Муфта—ქუროა, თუ მე არ დამიჯერებთ, ნუ დაგიზარებათ ჩუბინაშვილის ლექსიკონის გადაშლა. Ночникъ—ფასოსია; შესწუხდით და ეს სიტყვაც იქვე ნახეთ. იქავე ლექსიკონში მოსძებნეთ Труба. Труба ყოველთვის სვირსა და მილს არა ნიშნავს,—ორთქლ-მავალ გემს Труба აქვს, საიდგანაც კვამლი ამოდის, და ამას საკვამლე ჰქვიან. საკვამლევე ჰქვიან, სამოვარს რომ დაადგამენ, ახლად ცეცხლის ჩაყრის დროს, კვამლის ამოსასვლელად. ჩუბინაშვილივე დამეთანხმება, რომ Темцература—იულიმია, Гончаръ—მეკეცეა, Рюмка—კვანჩხია. რომ დავწეროთ бубны და ქართულად „აგური» მოვუწეროთ, ცოტა არ იყოს, გვეუცხოვება, რადგან ქართულს აგურს რუსულად Кирпичъ ჰქვიან. მე ასეთის ეჭვის ასაცდენად ქართულ „აგურ"-ს ფრჩხილებში მოვუმატე: „(სათამაშ. ქალ.)". თქვენ-კი მარტო აგური დაგიწერიათ; ისე გამოდის, ვითომ მე ლექსიკონში მარტო „აგური" მქონდეს. ამას განგებ თვალის დახუჭვა ჰქვიან. წესიერი კრიტიკოსი ასე არ მოიქცეოდა. Салатъ—ტაბუცუნი არ არის? გთხოვთ, გადაშალოთ საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი და ნახოთ, რომ ტაბუცუნი სალათაა. Смотръ აღლუმი არ არის? ნეტავ, ვიცოდე, ქართულად რა სახელს დაარქმევდით? თქვენა ბრძანებთ: „აღლუმი—მანევრია და ესეც ქართული არ არისო". ჯერ ეს ერთი, ფრანგული manoeuro, რუსული смотръ ია, ხოლო რუსული смотръ-ი ქართულად აღლუმად ითარგმნების, (იხ. ჩუბინაშვილი), გეთანხმებით, აღლუმი ქართული არ არის, მაგრამ ჩვენს მამა-პაპას ეს სიტყვა უხმარნია manoeure-ის მაგიერ. როცა უკეთესს ქართულ სიტყვას გამოვიგონებთ ამ მცნების გამოსახატავად, „აღლუმი" თავის-თავად გადავარდება. Сума ქართულად ვაშკარანი არ არისო? იქმნება, ბრძანოთ, სხვა სახელიცა ჰქვიანო? ამის წინააღმდეგი არ გახლავართ, მაგრამ რომ сума-ს ვაშკარანიცა ჰქვიან, ეს-კი აშკარაა: ჩაიხედეთ სახარებაში (ლუკა IX თ., 3 მუხლი) და ნახავთ. Полотно არმენაკი არ არის? ვინ მოგახსენათ? გადაშალეთ საბა-ორბელიანის ლექსიკონის 16 გვერდი. არმენაკი აქ ასეა ახსნილი: „წმინდა ტილო, ე. ი. полотно. ამაზედვე იხილეთ რუსული სახარება (მათე თავი XXVII, მუხლი 59). თამბაქო ქართული სახელი არ გახლავსთ, ქართულად სწორედ გლარჯა ჰქვიან და არა სხვა რამე, თორემ საბა-ორბელიანი მოწამე. Сапогъ-ს ქართულად მოგვი ჰქვიან. საბა ამბობს, ჩექმა უცხოთ სიტყვააო. საბას გარდა, იცით, ვინ ეძახის сапогъ-ს მოგვს? რედაქტორი „კვალისა", სწორედ იმ „კვალისა", რომელიც ამბობს, რომ сапогъ—მოგვი არ არისო. არ დაიჯერებთ? აბა ნახეთ ჯეჯილის ერთ-ერთ №-ის რებუსი, საცა сапогъ-ის სახელი „მოგვად" გამოდის და არა ჩექმად. რომელიც გნებავსთ, კახელი რომ ნახოთ და ჰკითხოთ чайникъ-ის სახელი, მოგახსენებსთ, რომ კახეთში „ქეთლი" ჰქვიან და აქ გასაკვირველი და ყბადასაღები არა არის-რა! მთაში და ქართლ-კახეთში кружка-ს ყველგან ტოლჩას ეძახიან და ამ სახელის გაგონება სურამს აქეთ ყურს სრულებით არ ეუცხოვება. სურამს აქეთკენვე გაიგონებთ შემდეგს სიტყვებს: ვირგლა (და არა ფირგლა, როგორც თქვენ გადამიმახინჯეთ ჩემის ლექსიკონის სიტყვა, ბ-ნო ლაღიძევ!), თოქმა და რუსულად Верзила-დ გადაითარგმნების. მარტო ქართულის ენის უცოდინარი თუ იტყვის, რომ უნაწერო (და არა უნაწერო, ესეც თქვენ დამიმახინჯეთ) ქართული არ არისო! ხოლო ვინც რუსულიც იცის, დამემოწმება, რომ ორივე სიტყვა ერთსა და იმავე მცნებას გამოხატავს. თუმცა-კი, მართალია, ეს ზემო მოყვანილი 4 სიტყვა ჩუბინაშვილს ან სულ არა აქვს ახსნილი, ან და თუ აქვს, სხვანაირად. Сливки (და არა сливка, ესეც თქვენ დამწამეთ, ვითომ сливка მეხმარნოს; თუ მაინცა და მაინც მხოლოობითს რიცხვში ვიხმარდი ამ სიტყვას, ვიტყოდი—сливокъ-ს. მაგრამ ეს სიტყვა მრავლობითს რიცხვში იხმარება—сливки-ა ქართულად სწორედ რომ არაჟანი ჰქვიან მთიულებში. ამავე სახელს ეძახის პატივცემული პროფესორი ვას. პეტრიაშვილი (იხ. მისი შრომა „რძე"). თუ ეს ასე არის, ახლა თქვენა ბრძანეთ, მაშ სხვა რა სახელი ჰქვიან? თქვენვე გვიბრძანეთ, როგორ გადმოითარგმნება ქართულად будни? ჩვენ სადაგი გვგონია; ქართლში ხალხიც ამას ეძახის.

აი, ამნაირად იწუნებთ სიტყვებს. სამაგიეროდ ამბობთ რასმე? დამეთანხმეთ: არასფერს.

ჩემს ლექსიკონში შეცდომით карболовая кислота-ს კარბოლის სიმჟავის მაგიერ თეზაფი ვუწოდეთ. ვიცოდით, რომ თეზაფი რუსულად царская водка იყო. მაგრამ შეცდომა მოგვივიდა, თითი მოვიკაკვეთ და შეცდომა წიგნის ბოლოში გავასწორეთ. თქვე დალოცვილო, თქვენთან ბოდიშის მოხდაც რომ არა სჯრის? ეს ხომ მეტის-მეტი ულმობელობაა! მეორეც, როცა სხვის სიტყვების გადმოწერა გნებავსთ, კანონიერად უნდა გადმოსწეროთ ხოლმე. თორემ, თქვენს ლხენას, აბა ერთი მიბრძანეთ, რასა ჰგავს: кавычки-ს მაგიერ, ковички დაგიწერიათ? იქმნება, თქვენ, ბ-ნო ლაღიძევ, არაფრად მიგაჩნდესთ ასეთი ლაღობა რუსულის ორთოგრაფიის წინაშე, მაგრამ მე სულ სხვა აზრისა გახლავართ.

მათთვის საკუთარი მოძღვარი, რომელსაც შეძლებოდა ღვთის მსახურების შესრულება ქართულს ენაზედ. ყოვლად სამღვდელომ ქართველების თხოვნა გარდასცა განსახილველად ადგილობრივს კონსისტორიას, რომელმაც ჟურნალით დაადგინა თავისი განაჩენი, რომელზედაც ყოვლად უსამღვდელოესობამ 21 აპრილს შემდეგი დასკნა მოახსენა: «კავკავის ქართველთა საზოგადოების თხოვნა არ შეიძლება დაკმაყოფილდეს, რადგანაც არა გვაქვს თავისუფალი ეკკლესია. ხოლო ზოგიერთ დღესასწაულებში და ორი-სამი კვირის ვადით დიდ მარხვაში შესაძლებელი იქმნება ასრულდეს ღვთის მსახურება ქართულად სასაფლაოს ეკკლესიაში“. ეს განკარგულება ყოვლად უსამღვდელოესისა გამოუცხადა პოლიციამ იმ პირთ, ვინც ქართველობის სახელობაზე მიართვეს თხოვნა მღვდელმთავარს, ქართველ საზოგადოებისათვის გარდასაცემლად, გამოსაცხადებლად. ამ საგანზე ჰქონდათ გაცხარებული სჯა-ბაასი აქაურს ქართველობას სოზოგადო კრებაზე, რომელიც გამართული იყო აქაურ ქართული სკოლის დარბაზში. როგორც მღვდელმთავრის განკარგულებიდგან სჩანს, აქაურს ქართველებს გაეხსნებათ საკუთარი სამკითხველო და მიეცემა საკუთარი მღვდელი მხოლოდ მაშინ, როდესაცააშენებენ თავისთვის საკუთარს ეკკლესიას. ეს აზრი ყოვლად სამღვდელოს სიტყვიერადაც წარმოუთქვამს ქართველთა წარმომადგენლებისათვის და დაუძენია კიდეც, თუმც შეიძლებთ საკუთარის ეკკლესიის აშენებას, რაც კი შეიძლება, მეც შემწეობას არ მოგაკლებთო. ამის მიხედვით აქაურმა ქართველებმა ასე დააყენეს საკითხი ეკკლესიის გამო: ავაშენოთ საკუთარი ეკკლესია, თუ არა?

ამისათვის კრებაზედ გამართული იქმნა ხელის მოწერა იმის შესატყობად, თუ ვის რამდენს შეუძლიან შესწიროს ამ საგნის განხორციელებისათვის და ან რა თანხა შეიძლება შეგროვდეს აქაურ ქართველებში, რომლიდგანაც შეიძლება გავიგოთ მოხერხდება ეკკლესიის აშენება თუ ვერა? რასაკვირველია, ის საზოგადო წრფელი წადილი, საზოგადო მისწრაფება, ერთობა, ერთობილის ძალით მოქმედება რომელისამე საქმის გასაკეთებლად, დიდი საქმეა და მასთან ძალაც, რომელსაც ბევრი რამ შეუძლიან, მაგრამ, რაც უნდა იყოს, საეჭვოთ მიგვაჩნია, რომ აქაურმა მცირე ქართველობამ მარტო თივისის ღონის ძიებით ააგოს ცოტა ხანში ისეთი ეკკლესია, რომელიც შეეფერება ქალაქის ადგილს საზოგადოდ. მასთან ჩვენ არ შეგვიძლიან დავივიწყოთ კიდევ ამისთანა საქმეში საზოგადოდ ქართველი კაცის თვისება, რომელიც ყველა ახალს საქმეს დიდის გრძნობითა და თავ-გამოდებით ეკიდება თავდაპირველად, მაგრამ შემდეგში, უფრო ხშირად, აღტაცებული გრძნობა გულგრილობად იქცევა და საქმეც ყოველთვის გვიან ბოლოვდება. ამისათვის, ჩვენის აზრით, უკეთესი იქნებოდა, რომ კავკავის ქართველობას ეზრუნა ჯერ-ჯერობით საკუთარის მღვდლის დანიშვნაზე და კავკავის ქართულ სკოლასთან სასახლის ეკკლესიის მოწყობაზე, როგორც სხვა სასწავლებლებში არის ხოლმე—ეს იქნებოდა პირველი მკვიდრი ნაბიჯი და შემდეგში-კი საკუთარი ეკკლესიის აგებაც არ გაგრძელდება და არც გაძნელდება. ერთი ოთახის მიშენება საეკკლესიო სკოლის შენობისათვის ძნელი საქმე არ არის და ადვილად და გაუჭირვებლათ ასასრულებელიც არის. ამის წინააღმდეგ ამბობენ, რომ ეკკლესია სკოლასთან მოუხერხებელია მისთვის, რომ ხშირად იმისთანა დროს ისეთი ღვთის მსახურების შესრულება მოხდება, რომ ხალხის კრება საქმეს დაუშლის სკოლას. ამის პასუხად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ წირვა-ლოცვის შესრულება უქმე დღეებში, არა თუ დაუშლის სწავლების საქმეს, არამედ უფრო სასარგებლო იქნება, რომ სკოლაშივე თავიანთ დედა-ენაზე მოისმინონ წირვა-ლოცვა სკოლის მოწაფეებმა და სხვებმაც ამას უფრო აღმზრდელობითი და სკოლისა და ეკკლესიის უფრო დამაკავშირებელი შედეგი მოჰყვება ხოლმე. რაც შეეხება სხვა ღვთის მსახურების ასრულებას, როგორიც არის, მაგალითად, ეკკლესიაში მიცვალებულის მისვენების წესი, ამისათვის სასაფლაოს ეკკლესიაა დანიშნული; და თუ სხვა რამე წესი აღმოჩნდება იმისთანა, რომელიც მართლა ხელს შეუშლის სკოლას, იმ შემთხვევაში ეს წესი შესრულებული იქმნება სხვა ეკკლესიაში. პირიქით, როდესაც პირველად სთხოვეს ყოვლადსამღვდელოს ეკკლესიის და მღვდლის მოცემა, მღვდელ-მთავარს უბრძანებია ქართველთა წარმომადგენელთათვის, რომ სასაფლაოს საყდარს დაგითმობთ დროებით, რომ ხანდის-ხან შესრულებული იქმნას წირვა-ლოცვა ქართულადაო და თუ ქართველებისათვის სასაფლაოს ეკკლესია შორს იქნება და სიარული გაუძნელდებათ, მაშინ იარონ სკოლაში და გარდა წირვისა შეიძლება სხვა ღვთის მსახურება სკოლაშივე ასრულდესო და სხ. რასაკვირველია, ჩვენ იმის წინააღმდეგი სრულიად არა ვართ, რომ ეკკლესია, როგორც საზოგადო სურვილია, ცალკე და უფრო დასამხარს ადგილას იქმნას აშენებული. ამას ნათლად დაგვანახვებს ის ხელის მოწერა, რომელიც გამართულია ამ ჟამად აქაურ ქართველ მკვიდრთა შორის. თუ იმდენი თანხა შესდგა, რომ ეკკლესიის აგებაც შესაძლებელი შეიქმნება და ისიც მოკლე დროში, მაშინ არა გვეთქმის-რა, მაგრამ თუ საჭირო თანხა არ შესდგა, იმ შემთხვევაში ეკკლესიის ცალკე აშენებას ის ემჯობინება, როგორც ზემოდ მოგახსენეთ—სკოლასთან ერთი ოთახის გამართვა-მოწყობა საეკკლესიოდ და მღვდლის დანიშვნა.

Lonis.

**** ს. ქვემო-მაჩხაანი.** (კიზიყი). ანტიდეპოზიდების გაჭირობა. „ურიავ ღმერთს ნუ იფიცავო და არა ღმერთმანი ალარაო“, სწორედ ამ ჩვენს სიღნაღელ ანტიდეპოზედ ითქმის. რამდენჯერ შეამჩნიეს ამათ გაიძვერობა და ხელ-მრუდობა, რამდენჯერ წაართვეს ნაკლები წონა-საწყაოები, მაგრამ ესენი კიდევ თავიანთსას არ იშლიან, არა მტყუნდებიან, სულ იმას გაიძახიან: ჩვენ თავის დღეში მაგას არ ვიკადრებთო და თუ ეგ ნავთის ქურქელი ნაკლებია, ჩვენ არ ვიცოდით, სწორე გვეგონა, რადგან ნახმარი ვიყიდეთო, თუ საწონი ნაკლებია, ეგ რა ჩვენი ბრალია, ქანქს შეუჭამიაო და ნავთში წყლის გარევა კიდევ ვინ გაიგონაო.

ქანქმა ჭამა წონები, საწყაომ ჭამა ნავთი, ნავთმა ჭამა წყალი და სუყველამ-კი ჭამეს ხალხის ჯიბე.

აი ამას წინადაც ერთმა მანდილოსანმა ჩამოიარა იმათის დუქნის წინ და მიდიოდა იქვე ერთ ქართველ მოვაჭრესთან. ამათ ალღო ალღოთ, რომ სავაჭროდ მიდისო, ძალათ შეეტრიათ დუქანში და თავიანთი მოთითლიბაზებულის ენით იმდენი ეჩალიშნათ, რომ ახში მიეყიდნათ სამი მანეთის ჩითითი. მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, როცა კაცს აბრუ გაუტყდება, ყველანი ეჭვის თვალით უყურებენ ხოლმე. ამ დედაკაცსაც სავაჭრო როგორღაც სცოტავებოდა, გამოსულიყო იქიდგან და იქვე ერთის კეთილ-სვინდისიანის ადამიანისთვის ეანგარიშებინა და რა გგონიათ, როგორ მოვიდოდა ანგარიში? როგორადაც მოსალოდნელი იყო,—სამს მანეთში შვიდი შაური მეტი აეძროთ, სავაჭრო ყოფილიყო 2 მ. 65 კ. და არა 3 მ. მივარდა გაწიწმატებული დედაკაცი და ის იყო უნდა შეექმნა შვიდი შაურის ქურდი, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, „გველს სვრელიდგან გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი». იმდენი ეჯიჯინეს, იმდენი უნათლიდედავეს, რომ შვიდ შაურში ერთი არშინი ორ შაურიანი ჩითი მოუხიეს და გაისტუმრეს.

სამ მანეთში შვიდ შაურს ჰპარავენ და აბა ორ და სამ თუმანში რაერთსადა მოიპარავენ?

სწორედ ამათზედ ითქმის „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო“.

ა.

**** სოფ. დისევი.** (ქართლი.) ავაზაკები. სოფელი დისევი არის მეტის-მეტათ შევიწროვებული და შეშინებული ავაზაკებით, რომელთაც თავოსნობთ გათქმული ავაზაკი ილიკო ფუხაშვილი და რომლის თაოსნობითაც 1895 წელს დაეცნენ ამ სოფლის ორს ოჯახს. მღვდლის გაბრიელ ოქროპირისძის სახლზედ დაცემის უმალ დაჭერილ იქმნა თვით ილიკო ფუხაშვილი, გიორგი ივ-ძის ოქროპირიძისაგან, რომლისგამოც მას შემდეგ ჩამოკიდებულნი არიან, როგორც ფუხაშვილი, აგრეთვე მისი ამხანაგები და ოსებიც პატივცემულ მოხუცებულ მღვდელ გაბრიელ ოქროპირიძის ოჯახზედ და თვით გიორგი ოქროპირიძეს კი უქადიან მოკვლას. რადგან ეს შიშებია, განსვენებულის შერემეტიევს განკარგულებით ორი ჩაფარი ჩააყენეს მცველად მღვდელ გაბრიელ ოქროპირიძის ოჯახში. (თუმცა ამ ხანებში ერთის მეტი არ იმყოფება).

ახლა ნება გვიბოძეთ, ბ-ნო ლალიძევ, გულ-წრფელი რჩევა მოგახსენოთ: ა) თავის დღეში ნუ წაეპოტინებით, საცა ხელი არ მიგიწვდებათ; ბ) შემთხვევითი კრიტიკოსობა მეტად ძნელია და გ) ნუ განიზრახავთ ისეთის ფურის დაწიხვლას, რომელზედაც მეტს არ იწველით...

დასასრულ, ბარაქალა „კვალის“ რედაქტორს ჩემის შრომის შესახებ ხმის ამოღებისათვის. ეს დიდი მოწყალებაა მისის მხრივ. ქება და დიდება „კვალს“, რომელიც ასეთის „კრიტიკოსების“ წყალობით აფრთხილებს საზოგადოებას განსაცდელისაგან...

თ. სახოკია.

გაუთავებელ პოლემიკოსის გამო

„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“-ო, დიდი ხანია, ჩვენს ბრძენს პოეტს უთქვამს და, მართლაც, ჩვენის ცხოვრებისთვის დიდათ საჭიროა ეს სიტყვები.

არსად, არც ერთს უბედურს ქვეყანაში, ისე არ შავდება „თქმით“ საქმე, როგორც ჩვენში. ისეთი საზოგადო საქმე არ გაჩენილა ქვეყანაზედ და არც იქნება, რომელსაც თავისი კეთილი და ცუდი მხარეები არ ჰქონდეს, მხოლოდ საქმე ისაა, რომელ მხარეს უფრო მიაქცევს კაცი ყურადღებას. ჩვენებური „მთქმელები“ მხოლოდ ერთს „სიავეს“ ჩასჭიდებიან და იმაზე გაზვიადებულის ბაასით საზოგადოებას გულს უგრილებენ. ყოველსავე ჩვენებურს საზოგადო საქმეს უმეტესს შემთხვევაში ასეთი იღბალი აქვს და გასაკვირველი არ არის, თუ ოზურგეთის ამხანაგობას „შუამავალს“-აც არ ასცდენია ეს. ამდენი საყვედური, ამდენი „სიავის“ თქმა ისმის ამ წვალებულ ამხანაგობაზედ მისის „კეთილის მსურველებიდგან“ და ერთი-კი ფაქტიკურად კაცს არ დაუმტკიცებია, რაშია დანაშაულობა, რა არის საშუალება ნაკლულევანების გასასწორებლად?

ვინც კაცის ფსიხოლოგია იცის ცოტაოდენად მაინც, ის შეამჩნევდა, რომ რაიმე საქმის ნამდვილი, სულითადი ერთგული, მოყვარული კაცი არასოდეს „თქმით“ არ ყაბულდება და, რამდენიც-კი შეუძლია, სულით და გულით ეცდება ყოველივე საშუალება იღონოს სასურველის საქმის გასამაგრებლად, დასახმარებლად. რომ განვსაჯოთ სინიდისიერად და ლოლიკურად, რა მნიშვნელობა აქვს ბ-ნ ი. გოგიჩაიშვილებისთანა წერილებს გურიის ამხანაგობაზედ? თუ მართლა ჰგრძნობს ბ. ი. გოგიჩაიშვილი, რომ ამხანაგობა ფერხდება, ილუპვის, რატომ ადგილობრივად მაგალითებით არ დაგვანახვებს: რით, რა მიზეზით, ან რა საშუალება შეიძლება ვიხმაროთ მის გასამაგრებლად? ამდენის ვითომ-და „პოლემიკის“ შესაფერი რამე გააკეთა კი? რაიმე სამსახური გაუწია კი „ბრალმდებელმა“ საერთოდ სასარგებლო, ჩვენებურ საქმეს, რომელზედაც მას, როგორც ვხედავთ, თითქმის ყოველ დღე „თქმით“ დიდათ გული შესტკივა.

შეუცდომელი მიწიერი კაცი არ მოიძებნება. სასტიკ კრიტიკას, შეუბრალებელს მოთხოვნილებას ვერც ერთი საქმის გამგე არა თუ ჩვენებური, ჩვენზედ უკეთესს მდგომარეობაში მყოფი ადამიანიც ვერ გაუძლებს.

„რამდენადაც უფრო მეტი გაგებულია, მცოდნეა კაციო,—ამბობს ერთი მეცნიერი,—იმდენად მეტს აპატიებს სხვებს შეცდომებსო“. ამ სიტყვების სიმართლე მაშინ მტკიცდება, როდესაც ჩვენის ქვეყნის ი. გოგიჩაიშვილების „ფილიპპიკებს“ ვისმენთ ყოველ დღე ჩვენის ჟურნალ-გაზეთების საშუალებით. მაგრამ ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. ეხლა მე მინდა მკითხველ საზოგადოებას მოვახსენო ამბავი იმ კომისიისა, რომელსაც ჰქონდა მინდობილი გურიის ამხანაგობის „შუამავალის“ ანგარიშის გაჩხრეკა. იმ დროს, როცა მორიგი კრება იყო ამ ამხანაგობისა, რამდენმამე პირმა მოინდომა და საზოგადოებაში არასასურველ უთანხმოების, უნდობლობის გრძნობა დასთესეს; ამიტომაც, საშინელი გამწვავებული სჯა გამოიწვია ყოველმავე კითხვამ; რიცხვთა შორის ანგარიშის დამტკიცების დროს, ერთის ოპპონენტის წინადადებით, დაინიშნა კომისია, რომელსაც დაევალა გადაეხედა ანგარიშებისთვის და თუ რასმე ამხანაგობის ინტერესისთვის საზიანო საგანს დაინახავდა, უნდა მოეხდინათ არა ჩვეულებრივი კრება. რადგანაც საზოგადოების უმეტესს ნაწილზე უნდობლობას აცხადებდნენ ზოგიერთები, ამიტომ კომისიის წევრებიც ადვილად შესახვედრი, მრავალ ნაირ სავალდებულო საქმეებიდან მოცლილი ვერ დანიშნა კრებამ. ამ მიზეზგამო სხვა-და-სხვა კუთხეებში დაფანტულის კომისიის წევრების რამდენჯერმე შეკრება ერთ ადგილას არ მოხერხდა. კერძოთ ყველა წევრები გაეცნო თითოეულად ანგარიშს, მაგრამ ოფიციალურად გამოცხადებას ვერც ერთი ჩვენგანი ვერ კისრულობს, სანამ კიდევ საერთოდ არ შევიკრიბებით და ყველა არ გამოვგაზავნით ჩვენს შეთანხმებულს აზრს.

ამას გარდა, ორმა ამ კომისიის წევრმა, მე და ისიდორე რამიშვილმა, უფრო მეტი ყურადღება მივაქციეთ გურიის ამხანაგობისთვის სასურველის წესდების შედგენას, რომელიც უფრო საჭირო იყო და სასარგებლო ჩვენი ამხანაგობის აწმყო და მომავალ მდგომარეობისთვის; ამ მიზნით ჩვენ რამდენჯერმე დაგვჭირდა ქუთაისსა და ბათომში მგზავრობა ამ წესდების დასამტკიცებლად. მიუხედავად ამისა, მორიგი კრების გარდაწყვეტილების უმთავრესი აზრი მაინც შევასრულეთ: განსაკუთრებული, ამხანაგობისთვის საზიანო შეცდომები არ გვინახავს ისეთი, რომ არაჩვეულებრივი ამხანაგობის კრება მოგვეხდინა და ამიტომაც ნება მივეცით ამხანაგობის გამგეს, დაებეჭდა ანგარიში და დაერიგებია ხალხისათვის, როგორც გადაწყვეტილი იყო კრებაზედ.

ყოველივე კომისიისა და გამგეობისადმი საყვედური რაღაც თითზედ დასახვევი „ხრიკებია“. ყველა წევრს, თუ-კი მართლა ენაღვლება ეს საერთო საქმე, ნამდვილად გული შესტკივა მისთვის და მოინდომებს დახმარებას, სრული თავისუფლება ეძლევა გამოაჩინოს საქმითაც თვისი კეთილი განწყობილება საზოგადოებისადმი.

ყოველის შეგნებულის კაცის რჩევა, დახმარება და თანაგრძნობა დიდათ სასურველია და სანატრელი ჩვენის ამხანაგობისათვის. გვითხრან ერთი მაგალითი: ვინ მოინდომა უსანგარო თანამშრომლობა და როდის არ მიიღეს მისი წრფელი განზრახვა? მაგრამ საქმეც ის არის, უანგარო სამსახურს, უმადურს შრომა-მუშაობას არც ერთი ჩვენი საზოგადო საქმის „თქმით“ კეთილის მსურველი არ ინებებს და გაზეთებში, ჰეროსტრატის აზრის თანახმად, სახელის და გვარის გადმობეჭდვა ხომ ეხლანდელის ჩვენებურის ახალგაზრდების „მანია“-თ არის გადაქცეული.

ნიკო თავდგირიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12 ამ თვისას ერთი მათგანი ავაზაკი ჩამობრძანდა სოფლის თავში, სადაც ებნენ ცხენები მღვდ. გაბრიელ ოქროპირიძისა და ჩაფრის, სინო წურაძისა. საწყალი ქურდ-ბაცაცა ფეხით წოწიალით დაღალულიყო და ცხენზედ შებრძანება მოენდომებინა. ამისთვის თითქო თავის საკუთრება ყოფილიყო, მიბრძანდა ცხენთან, ამოიღო ჯიბიდგან დამზადებული ალვირი და უნდა გაეტაცნა, მაგრამ ეს ამბავი მკვირცხლად შეამჩნია ხსენებულმა ნუკრაძემ, დაუყვირა, მაგრამ თავგასულმა ავაზაკმა ყურადღებაც არ მიაქცია. როცა თოფი მიუშვირა და სროლა დაუპირა, მაშინ კი გაჩერდა და გინება დაუწყო. მოვიდა ნუკრაძე იარაღის ასაყრელათ, მაგრამ მან ძალიობა დაუწყო ხანჯლით და ხელებიც გაუფუჭა, ნუკრაძემ ჩამოაბრძანა სოფელში, შეუკრა ხელები, უკან გამოაბა თავისივე ალვირი და ისე წააბრძანი მეჯვრისხევს პრისტავთან; იმან გადაგზავნა ცხინვალის ბოქაულთან და არ ვიცით, საქმე როგორაც იწარმოებს: იმედია, რომ ამ საქმეს და ნუკრაძის შრომას ისე არ ჩაატარებენ და ხსენებულ ავაზაკს სასტიკად მოეპყრობიან.

14 ამა თვეს დაინახეს ორი კაცი, რომლებიც ისხდნენ ხევზედ ყაბალახებით თავ შეხვეულები და იქიდგან ზვერავდნენ სოფელს. ხსენებულმა ნუკრაძემ მამაცურად გასწია იქითკენ, მაგრამ რამავ წამ ფეხის ხმა გაიგეს, გაექცნენ.

ნუკრაძე დაბურულ ტყეში თუმცა ვერა ხედავდა, მაგრამ ფაჩი-ფუჩზედ და ფეხის ხმაზედ ორჯერ ესროლა თოფი, ავაზაკები ქვეითკენ გამოექცნენ, მაგრამ რაკი არც არავინ მშველელი ჰყავდა და არც თითონ იცოდა ტყის გზები, უკანვე დაბრუნდა. დიდი ალიაქოთი იყო, დედაკაცები ერთად იკრიფებოდნენ და და დიდი ყივილ-ხივილი და თავში ცემა ჰქონდათ. ასტეხეს ზარის რეკვა, მაგრამ ყველა თავის საქმეში იყო გაბმული და მშველელი არავინ მოჩანდა. ძაღლებიც-კი იგებენ ამ საზარელ ამბავს და წკუტუნით აქეთ-იქით იმალებიან. გიორგი ოქ—ძე რომ ცხინვალში არ ყოფილიყო დაბარებული, როგორც მამასახლისის თანაშემწე, ისინიც დაუჭერავნი არ გადარჩებოდნენ. ვთხოვთ ყოვლად მოწყალე ღმერთს, რომ მიანიჭოს ზემოხსენებული ავაზაკების გათოკვაც. ეს ორი კაცი რომ არ იყვეს, დიდი ხანია მთელს სოფელს აამტუტებდნენ და ამისთვის ღირსნი არიან, მთავრობამ წააქეზოს ეს ორი ყმაწვილი კაცი და დაასაჩუქრონ, თუ ჯვარით არა, მენდლებით მაინც, თუმცა ესენი განა თუ მარტო ამისი, სხვა კარგი და კეთილის საქმის მომქმედნიც არიან.

ალ. ოქროპირისძე.

⁂ **დ. ხაშური. უმიზეზოდ დაჭრილი.** 16 ივნისს, საღამოს 7 საათზედ, აქ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა. ხაშურის ბაღში 16 ივნისს დროებას ატარებდა რამდენიმე კაცი, მაგრამ ჩაჰწარდათ დროს გატარება ხსენებულ რაინდებს. ერთმა მათგანმა, ცქიტიშვილმა, უმიზეზოდ დასჭრა თავში აქაური მცხოვრები სოსე ავალიშვილი. ამით დასრულდა იმათი ქეიფობა. გამოძიება სწარმოებს.

⁂ **ს. ნაფარეული** (კახეთი). **აბრეშუმის მოსავალი და მისი შედეგები.** როგორც საზოგადოთ კახეთში, ს. ნაფარეულშიაც წელს ძლიერ კარგად მოვიდა ჭია (აბრეშუმის პარკები). ბევრსა ჰქონდა აღებული ჭიის თესლი მეაბრეშუმეებისაგან, ე. ი., ჩარჩ-ვაჭრებისაგან, რომელნიც დადიან სოფლებში და არიგებენ თესლებს სანახევროდ, სამესამედოდ, სამეოთხედოდ. მშვენიერი გამოსავალი ჰქონდა, მაგრამ რა გამოვიდა!.. ხარაზები, მეწვრილმანეები და სხვა ხელობის მატყუარა ვაჭრები შესდგომიან მეაბრეშუმობას. დადიან ყველა ესენი სოფლებში და ყიდულობენ აბრეშუმის პარკს; თან დააქვსთ უშველებელი თუნუქის საწყაო, რომელშიაც ჩადის რვა გირვანქა პარკი. მაგრამ განა კარგათა სწყამენ?! საწყაო თითონ ძლიერ განიერია და სადაც მივლენ, ეუბნებიან: „ყველგან თავიანსა ვსწყამთო, და აქაც, რასაკვირველია, თავიანი უნდა ავსწყათო, რადგანაც წესი არ უნდა დავარღვიოთო“. არ ვიცი, ეს წესი ვინ დაუწესათ?!.

რაც საწყაოში პარკი ჩადის, იმდენი კიდევ თავზედ ეყრება საწყაოს და აბა, იფიქრეთ, რამდენი გირვანქა პარკი უნდა აიწყონ? ეს კიდევ არაფერი, მაგრამ ნეტავი ხეირიან ფასს მაინც აძლევდნენ მშრომელთ და ჯანი გაჰვარდეთ. საწყაოს, რომელიც 15 გირვანქას აღემატება იმათი აწყული, ყიდულობენ 1—1 მ. 20 კ. და აი ესე მუქთად მიაქვთ ამათი, მთელის გაზაფხულის ნაშრომი. რომ უთხრათ: წელს აბრეშუმი ძვირია და მომეტებულ ფასად უნდა აიღოთო,—გიპასუხებენ: მაზანდა ასეა და ამაზედ მეტს რად მივცემთო. სადაც გინდათ იკითხეთ, თუ ამ ფასად არ ყიდულობენ ყველანიო“.

საქმე ის არის, რომ მაზანდის დამწესებლათაც ისევ თავიანთთანა მეაბრეშუმეებზედ მიგითითებენ!

აბა რა ქნან საწყლებმა აქაურმა მცხოვრებლებმა: არ გაყიდონ? მაშ რა ქნან? ფული უჭირთ. რამდენი ხანიც უნდა ილოდონ, ისევ ამათთანა მეაბრეშუმეები მოვლენ და მაზანდა ისევ ის იქნება ამათთვის. ბევრი მოუვათ თუ ცოტა, ძვირია თუ იაფი, მაინც ამათთვის უსარგებლოა და მხოლოდ სხვები ივსებენ ჯიბეებს.

ალ. ვარდიაშვილი.

⁂ **სოფ. გორდი.** (სამეგრელო). **აქაური ამბები.** ჩვენი სოფელი ყოვლის გზით იყო სახელ-გატეხილი და გაკიცხული და, რაც უნდა კეთილი საქმე ჩაედინა, მაინც არავინ უჯერებდა; ასე წარმოიდგინეთ, სხვა სოფელში რომ დარჩენილიყო აქაური საწყალი გლეხკაცი, ღამეს არ გაათევინებდნენ; ეს იმიტომ იყო, რომ განსვენებული რ. ამაშუყელი ბოქაული ბრძანდებოდა და თუ ერთი და ორი ქურდი გამოერევოდა, ყველას, მცხოვრებთ, ქურდს ეძახოდა და უშვერის სიტყვით ლანძღავდა გარეშე პირებთან აქაურ გლეხკაცობას და არც ერთხელ კეთილის საქმისთვის თვისს საბოქაულოში არ უზრუნვია; მაგრამ მოხედა მაცხოვარმან ჩვენს უმიზეზოდ გაკიცხულ საზოგადოებას და გვეღირსა ბ. ნ. ს. დგებუაძე მარტვილის ბოქაულად, რომელმაც თავისი ტკბილის გონივრულ შთაგონებით ხალხში მშვიდობიანობა დასთესა და ამ ნაირის მოქცევით ქურდობაც შეამოკლა და ყოველსავე საქმეს სინიდისიანად და პატიოსნად ასრულებს. ეს არის ჩვენი პირველი ბედნიერება, ხოლო მეორე ბედნიერება ის არის, რომ გორდის საერო სკოლის მასწავლებელი ბ. მ. ბ. დარახველიძე დიდი შრომის მოყვარე არის და პირველის წლის სამსახურით დააჩინა კვალი და დაუღალავად შრომობს: მოწაფეები მისნი განვითარდნენ და ხალხში მადლობა დაიმსახურა; აგრეთვე მებაღობას მოჰკიდა ხელი და მოსწავლეებს ასწავლის. ერთის სიტყვით, მადლობის ღირსია ისინი, ვინც ესეთი სიკეთე დასთესა.

— ჩვენ შევიტყეთ ნამდვილის წყაროებიდან, რომ გორდში ანუ ბუმბუაზედ აფთიაქი გვიარსდებაო, რომელიც ჩვენთვის დიდად საჭიროა, რადგანაც ქალაქები და დაბები 25 ვერსის მანძილზედ გვაქვს და ვიდრე ექიმს მოვიყვანდეთ და წამალს მოვიტანდეთ, მანამ ავადმყოფი საიქიოს გაემგზავრება. შეიძლება აფთიაქარმა იფიქროს, რომ შემოსავლის წყარო ნაკლები იქნებაო; არა, მე ვარწმუნებ მას, რომ არ შეუშინდეს, რადგანაც შემოსავალი კარგზედ უკეთესი იქნება და ამასთან დარწმუნდეს, რომ ოღონდ მობრძანდეს და აქ კიდევაც საშუალებას მივცემთ. იმედი გვაქვს, არ დაიგვიანებს და მოგვაწვდენს ღვთის გულისთვის წამალს.

— ჩვენი საზოგადოება შესდგება შვიდის სოფლიდგან, სადაც თერთმეტი ეკკლესია არის გაშენებული; მათ შორის შესანიშნავი არის გორდის მთავარ-ანგელოზის სამ-შტატიანი ეკკლესია თავისის შენობით და მორთულობით. მთელს საზოგადოებაში ერთი სამრევლო სკოლა არ არის, რომ ხალხმა თვით მასწავლებლიდგან და შვილებიდან გაიგონოს ქრისტეს სახელი და მისი მდგომარეობა და ამით ბოლო არ მოეღოს სწავლა-განათლებას, თორემ დავეცით სულით და ხორცით. შეიძლება ვინმეს ეშინოდეს, რომ ზოგიერთი ვაჟბატონები აქ სკოლის მტერნი არიან და საქმის გაკეთებას არ ისურვებენო; არა, თქვენ, მამაო ანტონ, შრომას მიჰყავით ხელი და ვინც წინ დაგიდგება, მას გზა მოეძებნება, რადგანაც ამისთანა საქმეში თვით ღმერთი შემწე გეყოლებათ: ჩვენ იმედი გვაქვს, თქვენს სიტყვიერს ბაასს სკოლის შესახებ განახორციელებთ.

— ეს შვიდი დღე არის, რომ მხოლოდ საღამოობით წვიმს, ვენახს და სიმინდს საუკეთესო თავი უჩანს, როგორიც ცხრა წლის განმავლობაში არ გვინახავს.

გან-თან.

განცხადებანი

ანბანი
ქართული გოტიკური
ფასი ერთი შაური.
იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

ქართველ მკითხველთა საყურადღებოდ
ჩვენ განვიზრახეთ ცნობილ რუსს ე. ვოდოვოზოვის თხზულება
«როგორ ცხოვრობს ხალხი ქვეყანაზე»
(ინგლისელები, იტალიელები და გერმანელები)
ქართულად ვთარგმნოთ და დავსტამბოთ.

ჩვენი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ ეს სასარგებლო წიგნი ქართველ საზოგადოებაში გავრცელდეს. ამიტომ, ჩვენ განვიზრახეთ წინ-დაწინ ხელის-მოწერით შევაგროვოთ მის გამოცემისათვის საჭირო ფული.
წიგნი სამ ტომად გამოვა, ექნება 600 გვერდამდე, 18—30-მდე სურათები და ეღირება 1 მანათი და 20 კაპ.
ვინც წინდაწინ შემოიტანს ფულს, წიგნი დაეთმობა მანათად.
გამოცემას ჰკისრულობს ამხანაგობა „გლეხი“.

ხელის-მოწერა მიიღება შემდეგს ადგილებში:

ტფილისში—ბ ნ ზაქ. ჭიჭინაძესთან; **გორში**—ექვთიმე კოპლატაძესთან; **ხაშურში**—სტეფანე ნოზაძესთან; **ჭიათურაში**—ერმალოზ კიწმარეიშვილთან და გერასიმე ბერიძესთან; **საჩხერეში**—იასონ ლამბაშიძესთან; **შორაპანში**—ილიკო ნადირაძესთან; **ზესტაფონში**—ილია მაღლაკელიძესთან, ვანო არდიშვილთან და ტრიფონ ნიორაძესთან; **ოზურგეთში**—ლადიკო ჩხაიძესთან; **ქუთაისში**—თეოფილე ხუსკივაძესთან, ბეჟანეიშვილისა და ქილაძის წიგნის მაღაზიებში და მიტროფანე ლაღიძესთან; **ახალ სენაკში**—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში; **ბათუმში**—მიხეილ გაჩეჩილაძესთან; **სოხუმში**—მამა ბესარიონ ხელაიასთან და ყარპეზ წეროძესთან; **გუდაუთში**—ბაგრატ მჭედლიძესთან; **ნოვოროსისკში**—სილოვან კალანდაძესთან და სხვაგან ყველა წიგნის მაღაზიებში.
პირდაპირ ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: **Батумъ, Михалу Гачечиладзе.** (30 —13)

Боржомскій стеклянный заводъ
имѣетъ честь довести до свѣдѣнія, что
Представительство
и **исключительное право продажи,**
издѣлій завода въ г. Тифлисѣ и его окрестностяхъ передано
инженерамъ
Яралову и Алиханову,
къ которымъ и проситъ обращатся какъ съ заказами, такъ и за всякаго рода свѣдѣніями и справками.
БОРЖОМСКІЙ СТЕКЛЯННЫЙ ЗАВОДЪ
Управляющій **Августъ В. Эркслебенъ.**
Главная контора инженеровъ Яралова и Алиханова помѣщается въ г. Тифлисѣ, на Александровской улицѣ въ собст. домѣ. (Телефонъ № 9); **оптовый же складъ бутылокъ**—въ зданій г. Долуханова, близъ вокзала, (рядомъ со складомъ винъ Торговаго Дома кн. З. А. Джорджадзе и Кº.)

ბორჯომის შუშა-მინის ქარხანა
ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამ ქარხნის ხელობა და სხვა-და-სხვა ნაწარმოები იყიდება განსაკუთრებით
ინჟენერ
იარალოვისა და ალიხანოვის ქარხანაში
ყველანი ამ ქარხანას მიჰმართავენ ყოველგვარ შეკვეთისათვის.
ბორჯომის შუშა-მინის ქარხნის გამგებელი ა. ვ. ერკსლებენ.
(100—33)

ბუღალტერიის შესწავლა
ვისაც საფუძვლიანად ჰსურს შეისწავლოს
სრული კურსი ბუღალტერიისა **სამის თვის** განმავლობაში, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ბანკში უფროსს ბუღალტერს **ი. ია. ბრონ ფონ ბრენნერს.**
ფასი მთელის ბუღალტერიის საფუძვლიანად შესწავლისა **40** მან.

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,
состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:
1) **Бухглтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности.
2) **Коммерческой риѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики н счетохъ,**
4) **Коммерческой эконміи,**
5) **Тортовыхъ и вексельныхъ** узаконеній,—преподаетъ И. Я. БРОНЪ ФОНЪ БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ Тифл. общ. взаим. сел.-хоз. кредита.
Плата за весь курсъ 40 руб.
Курсъ **3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ, въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число кажуаго мѣсяца. Спросить: Михайловская, 71. ттестаты за успѣшныя занятія реальнаго училища и школы садоводства. (წ.)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Іюня 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.